



კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

პარლამენტმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედება მეოთხედ გადაავადა

2019 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა, მამუკა მდინარაძის, დავით მათიკაშვილის, ანრი ოხანაშვილის, ვანო ბარდიაშვილის, რატი იონათამიშვილისა და გოგა გულორდავას მიერ [ინიცირებულ](#) კანონის პროექტს მხარი დაუჭირა, რის შედეგადაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედება კიდევ ერთხელ, მეოთხედ, [გადაიდა](#) - ამჯერად, **2019 წლის 1 ნოემბრამდე**. როგორც კანონის მიღებამდე განვითარებული პროცესების, სახელმწიფო ინსპექტორის განცხადებებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოსალოდნელი იყო, გადავადების მიზეზია იმ ფინანსური სახსრების არარსებობა, რომელიც, თითქმის 1 წლის მანძილზე საქართველოს მთავრობამ არ გახადა ხელმისაწვდომი სამსახურის ლოჯისტიკური და კადრებით უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სამსახურის უფროსის მიერ. 20 ივნისს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო ცხადყო, რამდენად დაუსაბუთებელი და ალოგიკურია იმ პირების მანდატიდან გამორიცხვა, რომელთა ხელში ყველაზე მეტი ძალაუფლება არის კონცენტრირებული და შესაბამისად, მაღალია უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გამოძიებაზე ზემოქმედების რისკები.

- **სამსახურის კომპეტენცია** - მოქმედი კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნა კვლავ პროკურატურის უფლებამოსილებაა, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოპერაციულ დამოუკიდებლობას მნიშვნელოვნად ასუსტებს. აუცილებელია, რომ სამსახური, სულ მცირე, საპროკურორო ზედამხედველობის გარეშე წარმართავდეს გამოძიებას.

- **დანაშაულთა წრე, რომელსაც იძიებს სამსახური** - აუცილებელია გაფართოვდეს ინსპექტორის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ დანაშაულთა წრე და ამოღებულ იქნეს კანონპროექტიდან ის სპეციალური დათქმები, რომელთა გარეშეც საქმე ვერ მოექცევა ახალი უწყების საგამოძიებო ქვემდებარეობაში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საქმის არასწორად კვალიფიკაციის ეჭვი, უპირატესი იურისდიქცია ავტომატურად ჰქონდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.